

სერვისით სწავლა სოციალური მუშაობის განათლების სფეროში

2022



სახელმძღვანელო
პრაქტიკის/სათემო
ორგანიზაციებისათვის

ავტორები: ალჟბეტა ბროზმანოვა გრეგოროვა, მიკაელა სკიბა, შორენა
საძაგლიშვილი, ნატალია გუსაკი, ნევენკა ზეგარაკი.

გამოქვეყნებულია : 2022 წელს

ეს სახელმძღვანელო გამოცემულია „სერვისით სწავლა - ჩართული და
ერთობლივი სწავლება სოციალურ მუშაობაში“ პროექტის ფარგლებში,
რომელსაც მხარს უჭერს EASSW - სოციალური მუშაობის სკოლების
ევროპული ასოციაცია.

შინაარსი

სამსახურებრივი სწავლების განმარტება
სამსახურებრივი სწავლების მახასიათებლები
სამსახურებრივ სწავლებაში ჩართულობის სახეები
სამსახურებრივ სწავლებასა და საზოგადოების ჩართულობის სხვა ფორმებს შორის
განსხვავება
რა ნაბიჯებია სამსახურებრივ სწავლებაში
დაგეგმვა და მომზადება
შესრულება
შეფასება
აღნიშვნა და დასრულება
მოფიქრება
ურთიერთობა და წინნაწევა
მეთვალყურეობა
სამსახურებრივი სწავლების პროექტების სარგებელი
საზოგადოების პარტნიორების როლი სამსახურებრივ სწავლებაში
საზოგადოების პარტნიორთა გამოკითხვის ნიმუში
სამსახურებრივი სწავლების კურსის დაგეგმვა საზოგადოების პარტნიორთან ერთად
კითხვები სამსახურებრივი სწავლების პროექტებში ჩართული საზოგადოების პარტნიორებისთვის
მოფიქრების სავარჯიშოს ნიმუში საზოგადოების პარტნიორთათვის



სერვისით სწავლის განმარტება

სერვისით სწავლა არის სწავლების მიდგომა, რომელიც აერთიანებს დაგეგმილ სწავლებასა და სერვისით სწავლას. ეს არის სწავლება სხვებისათვის სიკეთის გაკეთებით.

სერვისით სწავლა ყურედლებას ამახვილებს როგორც საქმიანობაზე, რომელიც სასარგებლოა საზოგადოებისთვის (მაგალითად, ბავშვებისთვის ტუტურინგის აღმოჩენა, როდესაც ოჯახს არ აქვს რეპეტიტორების დაქირავების საშუალება), ასევე საგანმანათლებლო სარგებელზე, რომელსაც იღებს ადამიანი ამ საქმიანობის შესრულების შედეგად (რა ისწავლეთ ბავშვებისთვის რეპეტიტორობის გაწევის პროცესში, ასევე, რა ისწავლეთ ამ აქტივობის განხორციელებამდე, როდესაც გეგმავდით მცირე პროექტს).

სერვისით სწავლის მახასიათებლები

სერვისით სწავლა დაფუძნებულია სტუდენტებს, სკოლებსა და საზოგადოებებს შორის თანამშრომლობაზე. სერვისით სწავლის განმარტებების რაოდენობის მიუხედავად, ლიტერატურაში გამოიყენება რამდენიმე საკვანძო კომპონენტი:

1) ეს არის წინასწარ დაგეგმილი და ორგანიზებული სტუდენტური გამოცდილება, რომელიც მიღებულია იმ მომსახურების დახმარებით, რომელიც პასუხობს საზოგადოების ნამდვილ საჭიროებებს. სერვისით სწავლა განიხილება როგორც ტრადიციული დამხმარე მოდელიდან (თემის/საზოგადოების მომსახურება) სოლიდარობის ჰორიზონტალურ მოდელზე გადასვლას (მომსახურება თემთან ერთად).

2) ის დაფუძნებულია სტუდენტთა აქტიურ ჩართულობაზე სერვისით სწავლის პროექტის ყველა საფეხურზე, დაგეგმვიდან შეფასებამდე. სტუდენტებმა უნდა იგრძნონ თავიანთი მონაწილეობა სერვისით სწავლის პროექტში და იმოქმედონ როგორც ქმედების ლიდერებმა, და არა მარტო როგორც შემსრულებლებმა.

3) სერვისით სწავლის გამოცდილება განზრახ არის ინტეგრირებული აკადემიურ პროგრამისა ან კვლევით კონტექსტში. შეინიშნება სერვისით სწავლის მკაფიო კავშირი განათლების მიზნებსა და შინაარსთან.

4) ის უზრუნველყოფს დროში განერილ თანმიმდევრობას, რომელიც აძლევს მონაწილეებს საშუალებას, იფიქრონ სერვისით სწავლის გამოცდილებაზე. თვითრეფლექსია სერვისით სწავლაში განიხილება როგორც მნიშვნელობის შექმნის პროცესი, რომლითაც ხელმძღვანელობს მონაწილე თემზე/საზოგადოებზე ორიენტირებული გამოცდილების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს სერვისით სწავლის გამოცდილებასა და სერვისით სწავლის კონცეპციებს შორის კავშირებისა და ურთიერთობების სიღრმისეულ გაგებას.

5) ის მიმართულია მოსწავლეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარებისკენ. სწავლის პროცესში მოცემული სტრატეგიის გამოყენებისგან ველოდებით არა მარტო პროფესიონალური კომპეტენციების განვითარებას, არამედ მოსწავლეთა „სამოქალაქო მახასიათებლების“ ცვლილებებსაც, რაც განსაზღვრავს მათ სამოქალაქო ჩართულობას როგორც სერვისით სწავლის პროექტის განხორციელების განმავლობაში, ისევე მისი დასრულების შემდეგაც (ალბანესი, კულკასი და ზუნზაინი, 2020).

სერვისით სწავლა მოიაზრება როგორც სწავლების სტრატეგია, რომელიც აერთიანებს გააზრებულ საზოგადოებრივ მუშაობას განათლებასა და თვითრეფლექსიასთან. საზოგადოებისთვის სამსახური შეიძლება იყოს ჩართული სხვადასხვა აკადემიური საგნისა და სასწავლო პროგრამის კურიკულუმში. პრაქტიკაში სერვისით სწავლის რამდენიმე მოდელი არსებობს. ის შეიძლება იყოს შესრულებული ერთი საგნის ფარგლებში ან, შესაძლოა, მან რამდენიმე საგანი ან მასწავლებელი გააერთიანოს ინტერდისციპლინურ პროექტებში. ის საგნები, რომლებშიც ეს სტრატეგია გამოიყენება, შეიძლება არჩევითი იყოს. სერვისით სწავლა აძლევს სტუდენტებს საშუალებას, სწავლის შედეგებისთვის დაიმსახურონ კრედიტები, რომლებიც მიიღება საზოგადოებრივი აქტიური ჩართულობითა და პრაქტიკაში რეალური ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრით.

სწავლის პროცესს მხარს უჭერს თვითრეფლექსია, როგორც ექსპერიმენტული სწავლების აუცილებელი ნაწილი. ამ პროცესში მასწავლებელი დამრიგებლის ან მენტორის როლს თამაშობს.

სერვისით სწავლაში ჩართულობის სახეები

პირდაპირი მომსახურება

პირდაპირი მომსახურება ისეთი საქმიანობაა, რომელიც მოითხოვს საჭიროებების მქონე ადამიანებთან პირად კონტაქტს. მომსახურების ეს ტიპი, როგორც წესი, ყველაზე სასარგებლოა სტუდენტებისთვის, რადგან ისინი დაუყოვნებლივ იღებენ დადებით უკუკავშირის სხვების დახმარების პროცესში.



არაპირდაპირი მომსახურება

არაპირდაპირი მომსახურება უფრო მეტად არის კონცენტრირებული პრობლემის გადაჭრისადმი რესურსების მიმართვაზე, და არა იმ ადამიანთან უშუალო მუშაობაზე, რომელსაც შეიძლება სჭირდებოდეს ეს მომსახურება. ხშირად სტუდენტები უშუალოდ არ ხვდებიან იმ ადამიანებს, რომლებსაც ისინი ემსახურებიან. არაპირდაპირმა საქმიანობამ შეიძლება რესურსების მოძიების სახეც მიიღოს.



ადვოკატური საქმიანობა მოიცავს დაგეგმვას, იმ ინიციატივებისა და ღონისძიებების ჩატარებას და/ან შექმნას, რომლებიც მიმართულია ცნობიერების ამაღლებაზე საზოგადოების პრობლემებსა და საჭიროებებთან დაკავშირებით. ეს შეიძლება, მაგალითად, იყოს მიწვეული მომხსენებლის მოყვანა, საზოგადოებისათვის საინტერესო თემის განხილვა, ან არჩეულ თანამდებობის პირებთან მუშაობა იმ კანონპროექტზე, რომელიც მიმართულია თემის/საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობაზე.



თემზე დაფუძნებული კვლევა (სათემო კვლევა)

თემზე დაფუძნებული კვლევა შეიძლება განისაზღვროს როგორც სტუდენტების, ფაკულტეტისა და საზოგადოების პარტნიორების თანამშრომლობა, რომლებიც ერთად არიან ჩართული კვლევაში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრისა ან სოციალურ ცვლილებებზე გავლენის მოხდენის მიზნით. თემზე დაფუძნებული კვლევის ტიპიური პროექტები მოიცავს ფაკულტეტის, სტუდენტებისა და საზოგადოების პარტნიორების ერთობლივ მუშაობას, რომელიც მიმართულია საზოგადოების მნიშვნელოვან პრობლემებზე ყურადღების გამახვილებაზე, ახალი პროგრამების გამოკვლევისა და შეფასებაზე, არსებული პროგრამების შეფასებაზე, ან კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი ინსტრუმენტების ერთობლივ შემუშავებაზე.

სერვისით სწავლასა და საზოგადოებრივი ჩართულობის სხვა ფორმებს შორის განსხვავება

სერვისით სწავლა, მოხალისეობა და სტაჟირება (საველე პრაქტიკა) შეიძლება განვიხილოთ როგორც ძალიან მსგავსი კონცეპციები, რომელთაგანაც ყველა მოიცავს არაანაზღაურებად სამუშაოსა და სწავლას, თუმცა მათ შორის განსხვავებებიც არსებობს.

სერვისით სწავლა

არის პედაგოგიური მიდგომა, რომელიც აერთიანებს დაგეგმილ სწავლებასა და საზოგადოებრივ სამუშაოს. სერვისით სწავლა დაკავშირებულია აკადემიურ სწავლასთან უმაღლესი სკოლის სხვადასხვა საგანში სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, რაც ეფუძნება ფორმალური განათლების სტანდარტებს. სერვისით სწავლა არის პროცესი, რომელშიც ახალგაზრდებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საზოგადოებაში არსებული რეალური საჭიროებებისა და პრობლემების გადაჭრაში (სერვისის ნაწილი). ასევე, ისინი ამას აკეთებენ ძალიან სპეციფიკური ელემენტების შესწავლისა და კონკრეტული და წინასწარ დაგეგმილი უნარებისა და ცოდნის შეძენის დროს (სწავლების ნაწილი). ეს სერვისის სწავლას სტუდენტების სწავლის კომპლექსურ მიდგომად გადააქცევს, რაც მიმართულია სასწავლო პროცესის არა „მშრალი სახით“ უზრუნველყოფისკენ, არამედ კეთებით სწავლისკენ და მეტიც, სხვებისთვის კარგის კეთების სწავლისკენ.

მოხალისეობა

იარის ინდივიდების (ცალ-ცალკე ან ჯგუფის) მიერ განხორციელებული აქტივობა ან საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებას ან სთავაზობს დახმარებას სხვებს, ან საჭიროების მქონე ადამიანთა ჯგუფს/საზოგადოებას, ანაზღაურების გარეშე, საზოგადო სარგებლისთვის, და დაფუძნებულია მათ თავისუფალ არჩევანზე, ჩაერთონ ამ საქმიანობაში. მოხალისეობა შეიძლება იყოს დაგეგმილი ან არაფორმალური, როგორც სპონტანური ქმედება, რომელსაც ახორციელებენ ადამიანები, რომლებიც ხედავენ, რომ სხვებს დახმარება სჭირდებათ და იწყებენ აქტივობას. თუმცა, წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვემხრობით დაგეგმილ ან ფორმალურ მოხალისეობას, რომელიც ხორციელდება ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების განზრახვის საფუძველზე, შექმნან მოხალისეობის შესაძლებლობები მოქალაქეთათვის, როგორც საზოგადოებაში აქტიური ჩართულობის საშუალება.

პროფესიული სწავლება/საველე პრაქტიკა

სტუდენტები ან პრაქტიკანტები იძენენ გარკვეულ სპეციფიკურ ცოდნასა და უნარებს, რაც დაკავშირებულია მათი სწავლისა ან მუშაობის სფეროსთან. საველე პრაქტიკა არის სასწავლო პროგრამის ნაწილი უნივერსიტეტში (ზოგჯერ საშუალო სკოლებშიც), რომლის განმავლობაშიც სტუდენტებს აქვთ პრაქტიკული (ჩვეულებრივ, კლასგარეშე) სწავლების პერიოდი, სადაც ისინი ურთიერთქმედებენ საზოგადოების რეალურ პირებთან, ასევე შრომის ბაზარზე, სადაც მათ შეუძლიათ სკოლაში გარკვეულ საგანში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ამგვარად, ეს პროფესიული სწავლება/პრაქტიკა არის სასწავლო პროგრამის/კურიკულუმის ნაწილი. ხშირად ის სავალდებულოა, მას აკადემიურ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში აქვს მკაფიო სასწავლო მიზნები და ფასდება მასწავლებლების მიერ. იმის მიუხედავად, რომ ეს შეიძლება ხდებოდეს საზოგადოებაში და გაჭირვებული ხალხის სასარგებლოდ, ან სოციალური მიზეზებით იყოს განპირობებული, მასში მონაწილეობის მიღების განზრახვა დაკავშირებულია სტუდენტის სწავლის და პრაქტიკული უნარების შეძენის საჭიროებასთან, და არა სხვებისთვის სამსახურის/სერვისის გაწევის სურვილთან, როგორც ეს მოხალისეობის შემთხვევაშია.

ცხრილი 1: სერვისით სწავლას, მოხალისეობისა და პროფესიული სწავლების/საველე პრაქტიკის შედარება

სერვისით სწავლა

ახალგაზრდებს
წვლილი შეაქვთ
თავიანთი
საზოგადოების
**რეალური
პრობლემებისა და
საჭიროებების**
გადაჭრაში (სერვისის
ნაწილი), მაგრამ
ისინი ამას აკეთებენ
**კონკრეტული და
წინასწარ
დაგეგმილი
უნარების, ცოდნისა
და კომპეტენციების
შეძენის დროს**
(სწავლების ნაწილი).

დაფუძნებულია
**თავისუფალ
არჩევანზე**, იყვნენ
ჩართულნი ამ
საქმიანობაში

არაანაზღაურებადი
საქმიანობა

**სწავლება
სხვებისთვის
სიკეთის კეთების
გზით**

მოხალისეობა

არის ინდივიდების
(ცალ-ცალკე ან
ჯგუფის) მიერ
განხორციელებული
მოქმედება ან
საქმიანობა,
რომელიც
მიმართულია სხვა
ადამიანებზე,
საზოგადოებასა და
საზოგადოებრივ
სიკეთებზე

დაფუძნებულია
**თავისუფალ
არჩევანზე**, იყვნენ
ჩართულნი ამ
საქმიანობაში

არაანაზღაურებადი
საქმიანობა

სწავლება
მიმდინარეობს,
თუმცა ის არ არის
**წინასწარ
დაგეგმილი ან
მოფიქრებული**

საველე პრაქტიკა/ პროფესიული სწავლება

პრაქტიკული
მეცადინეობა ან
სწავლების პერიოდი,
რომლის განმავლობაშიც
სტუდენტები ან
სტაჟიორები იძენენ
**სპეციფიკურ ცოდნასა
და უნარებს, რომლებიც
დაკავშირებულია მათი
სწავლისა ან მუშაობის
სფეროსთან.**

იხშირად
სავალდებულოა

აქვს **მკაფიო სასწავლო
მიზნები, რომლებიც
დაკავშირებულია
აკადემიურ სასწავლო
გეგმასთან და იქნება
შეფასებული
მასწავლებლების ან ამ
სფეროში მოღვაწე
ადამიანის მიერ**

მასში მონაწილეობის
მიღების **განზრახვა**
დაკავშირებულია
სტუდენტის
მოთხოვნასთან/
საჭიროებასთან,
ისწავლოს და **შეიძინოს
ცოდნა და უნარები**, და
არა სხვებისთვის
სერვისის გაწევის
სურვილთან.

რა ნაბიჯებია სერვისით სწავლაში?



სერვისით სწავლის პროცესი შედგა 4 ძირითადი ნაბიჯისგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია რეფლექსიით, კომუნიკაციით, დანინაურებით და მონიტორინგით.

რეგულაცია და მონიტორინგის მომზადება

საწყისი წერტილი არის ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებისა ან პრობლემის განსაზღვრა, რომელიც პროექტმა უნდა გადაჭრას. ამ ეტაპზე ასევე უნდა იყოს განსაზღვრული სწავლებისა და სერვისის მიზნები. იმისდა მიხედვით, თუ რომელი პროექტის განხორციელებას აპირებს ჯგუფი, ისინი ოდნავ განსხვავებულად უნდა დაიგეგმოს, თუმცა დაგეგმვა ყოველთვის მოიცავს: ამოცანების განსაზღვრასა და მათ გადანაწილებას, ურთიერთობას ჯგუფში, პროექტის გრაფიკის მომზადებასა და ბიუჯეტის დაგეგმვას. მონაწილეებს ასევე შეიძლება დამატებით დასჭირდეთ კონკრეტული საკითხების შესწავლა, რათა მიიღონ სპეციფიკური ცოდნა ან განავითარონ გარკვეული უნარები.

შესრულება/განხორციელება

შემდეგი ნაბიჯი არის ფაქტობრივი საქმიანობა, რომელიც სტუდენტებმა მოამზადეს. რეკომენდებულია ამ ვალდებულების უფრო ხანგრძლივად შესრულება, რადგან სერვისით სწავლის პროექტები მდგრადი უნდა იყოს გრძელვადიან პერსპექტივაში. როდესაც საქმიანობა მეორდება, ასევე იქნება მასზე ფიქრის, სწავლის პროცესისა და წარმოქმნილი სირთულეების განხილვის, გადაწყვეტილებების მოძებნისა და ნებისმიერი ცვლილების შეტანის დრო ცალკეულ ღონისძიებებს შორის.



შეფასება

მას შემდეგ, რაც სტუდენტები თავიანთ საქმეს დაასრულებენ, აუცილებელია მისი განხილვა, შეჯამება, სამომავლო დასკვნების გამოტანა და სერვისისა და სასწავლო პროცესის გაანალიზება მთლიანი ჯგუფისა და თითოეული მონაწილის ჭრილში.



წარმატების აღნიშვნა და დასრულება

ეს ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად ავიწყდებათ ხოლმე. დარწმუნდით, რომ დაგეგმეთ ბოლო შეხვედრა ან გამგზავრება, რომელიც დაასრულებს მთლიან პროცესს და მოგცემთ შესაძლებლობას, აჩვენოთ და დააფასოთ თქვენი მონაწილეების წარმატებები. ახალგაზრდებმა უნდა იამაყონ იმით, რაც გააკეთეს!

რეფლექსია

რეფლექსია საკვანძო „ინგრედიენტად“ ითვლება, რომელიც სერვისით სწავლის მიღებულ გამოცდილებას სწავლად გარდაქმნის, და რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ცნობიერების ამაღლებაში. ასევე, ის გარდაქმნის სერვისით სწავლას კრიტიკულ პედაგოგიკად, რომელსაც შეუძლია პირადი ტრანსფორმაციისა და სოციალური ცვლილების განსაზღვრა (Jacoby, 2015).



კომუნიკაცია და დანინაურება

ურთიერთობა უწყვეტი პროცესია პროექტში მონაწილეებს შორის, უწყებებთან, საზოგადოების პარტნიორებსა და საზოგადოებასთან. სერვისით სწავლის ოპტიმალური პროექტი მოიცავს პროექტის მონაწილეებს შორის, ასევე მონაწილეებსა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის ეფექტური არხების შექმნას (Regina, Ferrara 2017).

მონიტორინგი

პროექტზე მუდმივი მეთვალყურეობა სერვისით სწავლით მიღებული გამოცდილების ხარისხის ხშირად გამოტოვებული ასპექტია. მთელი პროექტის განმავლობაში, და არა მარტო მისი დასრულების შემდეგ, განხორციელებული ქმედებებისა და სწავლების მეთვალყურეობა უზრუნველყოფს ფასეულ ინფორმაციას რეფლექსიის, შეფასებისა და პროექტის დანინაურების პროცესებისთვის.



სერვისით სწავლის პროექტების სარგებელი

სერვისით სწავლა უნარებისა და ცოდნის შეძენის ძალიან გამოსადეგი მეთოდია, თუმცა სხვა უპირატესობებიც არსებობს ამ საქმიანობის განხორციელებაში, რომელსაც სხვებისთვის სარგებელი მოაქვს, საქმიანობის უშუალო ბენეფიციარებისგან დაწყებული და მთლიანად საზოგადოებით დამთავრებული.

სარგებელი საზოგადოების პარტნიორებისთვის

- სტუდენტების მონაწილეობა სასარგებლო მომსახურებას უზრუნველყოფს;
- გაძლიერებული საორგანიზაციო პოტენციალი მისიის მისაღწევად;
- ორგანიზაციები უყვებიან მონაწილეებს მათი მისიისა და მიზნის შესახებ, ამით, შესაძლოა, მათში იწვევენ ხანგრძლივ ინტერესს ორგანიზაციაში მოხალისეობის მიმართ;
- გაძლიერებული ურთიერთობა უნივერსიტეტთან;
- პრაქტიკაზე არსებული პრობლემების გადაჭრაში წვლილის შეტანა;
- უნივერსიტეტთან, ფაკულტეტთან, მასწავლებლებსა და სტუდენტებთან კონტაქტისთვის ხელის შეწყობა და მისი შენარჩუნება სამომავლო პოტენციური თანამშრომლობისთვის;
- იმ სტუდენტების გაცნობა, ვინც სპეციფიკურ დავალებებზე მუშაობს როგორც პოტენციური თანამშრომელი;
- განახლებული ინფორმაცია ახალი ცოდნისა და უნარების შესახებ, რომლებსაც სტუდენტები ფლობენ;
- მონაწილეობის დემოკრატიის განვითარება;
- უფრო მოქნილი საზოგადოება, რომელიც უკეთ და უფრო სწრაფად პასუხობს სხვადასხვა პრობლემას;



სარგებელი სტუდენტებისთვის

- კურსის თეორიული ნაწილის გაგება, შესწავლა და დაუფლება, რომელიც რეალურ პრობლემებსა და სიტუაციებთან არის დაკავშირებული;
- მართვის უნარების განვითარების შესაძლებლობა გაუთვალისწინებელ სიტუაციებში;
- ინდივიდუალური მისწრაფების თვითრეფლექსიის შესაძლებლობა პოტენციური კარიერისა და აუცილებელი კომპეტენციებისთვის, კარიერის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის;
- თეორიული ცოდნის აქტუალურობის აღიარება მომავალ სამუშაო ადგილზე;
- ისეთი კომპეტენციების განვითარება, როგორიცაა ლიდერობისა და კომუნიკაციის უნარები, რომელთა შემდგომი გამოყენებაც შეუძლიათ მონაწილეებს სამუშაო ადგილზე;
- ხელს უწყობს კრეატიულობის განვითარებას;
- სოციალური კონტაქტების ქსელის გაფართოება- პოტენციური დამქირავებლების, კომპანიონების, პარტნიორებისა და კლიენტების გაცნობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება საზოგადოების პარტნიორებთან ურთიერთობაში;
- სტრესთან, იმედგაცრუებასთან, წარუმატებლობასთან, კონფლიქტებთან, გაუგებრობებსა და არასწორად განმარტებასთან ბრძოლის სხვადასხვა გზის გამოყენება;
- ინფორმაციის მიღება პროფესიონალური რეალობის სირთულის შესახებ, რომლის გაკვეთილებზე სწავლებაც ან შესასწავლის ნიმუშის აღწერაც საკმაოდ პრობლემატურია;
- სტუდენტების მიერ მომავალი პროფესიის არჩევის მოტივაციის შემოწმების შესაძლებლობა;
- სტუდენტებისთვის გუნდის წევრების კოორდინაციის, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის, ვადების, ვალდებულებებისა და დაგეგმილი ვალდებულებების შესრულების მნიშვნელობის გაცნობა შეთანხმებული კრიტერიუმების შესაბამისად;
- საზოგადოებაში აქტიური და საპასუხისმგებლო მოქმედებების საჭიროების განვითარება;
- სოციალური პასუხისმგებლობის, ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებების მიმართ სოციალური მგრძნობელობის განვითარება, მარგინალურ სოციალურ ჯგუფებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით;
- სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან ურთიერთობის განვითარება და მრავალფეროვნების აღიარება.

TSოციალური მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ფარგლებში, რომლებიც წარადგინა სოციალური მუშაობის დარგში განათლების საბჭომ, ხაზგასმულია სოციალური მუშაობის აკრედიტირებული პროგრამების პასუხისმგებლობა ცხრა კონკრეტული პროფესიონალური კომპეტენციის შესწავლაზე (სოციალური მუშაობის დარგში განათლების საბჭო, 2015). ის ამბობს, რომსაერთო პროფესიონალური კომპეტენცია სოციალური მუშაობის დარგში მრავალგანზომილებიანია და შედგება ურთიერთდაკავშირებული კომპეტენციებისაგან, რომლებიც მოიცავს ცოდნას, ფასეულობებს, უნარებს, შემეცნებით და აფექტურ პროცესებს. ესენია შემდეგი კომპეტენციები:



- ა) ეთიკური და პროფესიული ქცევის ჩვენება
- ბ) პრაქტიკაზე მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის ჩართვა
- გ) ადამიანის უფლებების და სოციალური, ეკონომიკური და გარემოს დაცვითი სამართლიანობის წინააღმდეგობა
- დ) პრაქტიკით გამყარებულ კვლევებსა და კვლევით გამყარებულ პრაქტიკაში მონაწილეობა
- ე) პოლიტიკურ პრაქტიკაში მონაწილეობა
- ვ) ურთიერთქმედება ცალკეულ პირებთან, ოჯახებთან, ჯგუფებთან, ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან
- ზ) ცალკეული პირების, ოჯახების, ჯგუფების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებების შეფასება
- თ) ცალკეულ პირებთან, ოჯახებთან, ჯგუფებთან, ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან ჩართულობა
- ი) ცალკეულ პირებთან, ოჯახებთან, ჯგუფებთან, ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან პრაქტიკის შეფასება

კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლება წარმოადგენს შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას სასწავლო პროგრამის შემუშავების მიმართ, და იძლევა იმის გარანტიას, რომ მონაწილეები შეძლებენ ინტეგრაციისა და პრაქტიკაზე კომპეტენციების გამოყენების ჩვენებას. სერვისით სწავლის პროექტების წყალობით, მონაწილე ავითარებს ზემოთხსენებულ კომპეტენციებს. სერვისით სწავლის პროექტები მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას, იმუშაონ თავიანთ საზოგადოებებში არსებულ სოციალურ პრობლემებზე, და მათებს მათ თავდაჯერებულობას ცვლილების პროცესში.



სარგებელი აკადემიური პერსონალისთვის

- სწავლის შინაარსის ხარისხისა და აქტუალურობის ზრდა;
- სასწავლო პროცესის კრეატიულობისა და ინტერაქტიულობის განვითარება;
- პრობლემის გადაჭრის მიმართ ინოვაციური მიდგომების განვითარება;
- საზოგადოების პარტნიორობთან კავშირის განვითარება;
- სტუდენტებთან უფრო ახლო ურთიერთობის უზრუნველყოფა;
- კონტექსტების უზრუნველყოფა მოდელების, კონცეპციებისა და მეთოდოლოგიების შემოწმებისთვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სპეციფიკური შემთხვევების გადაჭრისთვის;
- სხვადასხვა დისციპლინის დაკავშირების შესაძლებლობების უზრუნველყოფა მიზნის გააზრებისა და თავიანთი სასწავლო საქმიანობის მიღწევისთვის;
- სოციალურად აქტიური მასწავლებლების რეპუტაციის ამაღლება უმაღლესი განათლების საზოგადოებაში;
- თეორიასა და პრაქტიკას შორის ზღვარის შემცირება, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე თავად მასწავლებლებისთვის;
- ინფორმაციის მონაცემთა ემპირიული ბაზის შექმნა როგორც მეცნიერული კვლევის საფუძვლის;
- შესაძლებლობების განვითარება სტატიების გამოქვეყნებისთვის (საერთაშორისოდ აღიარებულ ჟურნალებში) სწავლაში სამსახურებრივი სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენების გამოცდილების შესახებ სამეცნიერო მიმართულებების ფართო წრეში.

სარგებელი უმაღლესი განათლების დაწესებულების დონეზე

- სარგებელი უმაღლესი განათლების დაწესებულების დონეზე
- სტრატეგიული ინიციატივებისა და ვალდებულებების შესრულება, რომლებსაც უმაღლესი განათლების დაწესებულებების ოპერაციული სტრატეგია შეიცავს;
- სტუდენტების მიერ კურსის დამთავრების შემდეგ შეძენილ კომპეტენციებსა და შრომის ბაზარზე მოთხოვნად კომპეტენციებს შორის ზღვარის შემცირება;
- სამოქალაქო უნარების მეორე სტუდენტების შესაძლებლობების გაფართოება მათი საზოგადოებასთან გაერთიანების გზით;
- თანამშრომლობის თაობათაშორისი და კულტურათაშორისი გამოცდილების წინაწევა;
- უნივერსიტეტის, როგორც დაწესებულების მიმართ ნდობის გამყარება, რომელთანაც თანამშრომლობა სასარგებლოა, მიზანშეწონილი და სოციალურად სასურველია;
- დაინტერესებულ მხარეებთან სამომავლო პარტნიორული ურთიერთობებისთვის საფუძვლის შექმნა (ადგილობრივ) საზოგადოებაში, ასევე ინოვაციური სასწავლო პროგრამების შემუშავება განათლების ბაზრის შესაბამისად;
- სწავლებით კმაყოფილების დონის ზრდა სერვისით სწავლის დაფუძნებული საქმიანობის მეშვეობით, რაც მისცემს მონაწილეებს მნიშვნელოვანი გამოცდილების მიღების შესაძლებლობას.

სერვისით სწავლის პროექტების სარგებელი

თემთან პარტნიორობა სერვისით სწავლის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს. თემის წარმომადგენლები/სათემო პარტნიორები განსაზღვრავენ საჭიროებებს და წარმოადგენენ მთავარ საკონტაქტო პირებს ფაკულტეტისა და სტუდენტებისთვის. თემის წარმომადგენელი ხშირად ეხმარება სტუდენტებს, რათა გაიგონ მეტი მათ შესახებ და მთლიანად თემის შესახებაც. თემის წარმომადგენელი უნიკალურ როლს თამაშობს და მონაწილეებს რეალური გამოცდილების მიღებაში ეხმარება. ამგვარად, ჩვენ ვთხოვთ, რომ თემის წარმომადგენელმა მნიშვნელოვანი ხელმძღვანელობა გაგვიწიოს და მოგვცეს შესაძლებლობა, რომ სტუდენტებმა და თემის წარმომადგენლებმაც მაქსიმალური გამოცდილება მიიღონ.

თემის წარმომადგენელი ნამდვილ პარტნიორობას უწევს სტუდენტებს განათლების საკითხში და თავი ისე უნდა წარადგინოს როგორც **თანამასწავლებელმა**.

სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ ორგანიზაციასთან სერვისით სწავლის მეშვეობით, ჩვეულებრივ, ასრულებენ თავიანთ სამუშაოს აკადემიური კურსის კონკრეტული სასწავლო მიზნის მიხედვით. ყველა ადამიანი, რომელიც მონაწილეობს სერვისის სწავლაში- ფაკულტეტი, სტუდენტები და საზოგადოების პარტნიორები- მასწავლებლებად და სტუდენტებად ითვლება. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სტუდენტები და ფაკულტეტის პარტნიორები თემის წარმომადგენლებისაგან ისწავლიან. ვიმედოვნებთ, რომ ეს თემის წარმომადგენლისთვისაც სწავლის გამოცდილება იქნება, რადგან ეს ორგანიზაცია ფაკულტეტთან თანამშრომლობს, რათა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის გამოცდილების მიღების შესაძლებლობა თქვენი ორგანიზაციისა ან კურსის კონტექსტში.

საქმიანობაში ჩართული სათემო პარტნიორი/ ორგანიზაციის წარმომადგენელი



- აყალიბებს თანამშრომლობის თავის კონკრეტულ მიზნებს;
- აფასებს სტუდენტების/მასწავლებლების მონაწილეობას ორგანიზაციის მუშაობაში;
- აცნობიერებს უნივერსიტეტის მიზნებსა და შესაძლებლობებს;
- ამზადებს პერსონალსა და ბენეფიციარებს სტუდენტებთან ურთიერთქმედებისთვის;
- აღმოუჩინოს აუცილებელი მხარდაჭერა სტუდენტებს;
- მკაფიოდ განსაზღვრავს შეზღუდვებსა და მოლოდინებს;
- მონაწილეობს ღონისძიებების დაგეგმვაში;
- უზრუნველყოფს უკუკავშირს და მონაწილეობს შეფასებით ღონისძიებებში.

კითხვები, რომლებიც თემის წარმომადგენელმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს და თქვენს პერსონალს სერვისით სწავლის პოტენციურ პროექტებთან დაკავშირებით :



- რამდენად შეესაბამება სერვისით სწავლის პარტნიორობა ჩემი სააგენტოს მიზნებსა და ამოცანებს?
- რა სახის სერვისით სწავლის გამოცდილება ყველაზე უკეთ შეესატყვისება ჩემს ორგანიზაციას?
- რომელი კურსები მიიღებენ სარგებელს ჩემს ორგანიზაციასთან პარტნიორობისგან?
- როგორი სახის მომზადება დასჭირდება ჩემს ორგანიზაციას, რომ მიიღოს მონაწილეობა სერვისით სწავლით თანამშრომლობაში მასწავლებლებსა და სტუდენტებთან? როგორ შევუწყობ ხელს ამ მომზადებას?
- რამდენი სტუდენტი იქნება საჭირო რეალურად პროექტის დასრულებისთვის?
- რამდენ სტუდენტს შეუძლია ერთდროულად ამაზე მუშაობა?
- რომელი თანამშრომლები უზრუნველყოფენ სტუდენტების მუშაობის ზედამხედველობასა და კოორდინაციას?
- რომელი რესურსები დასჭირდება ჩემს ორგანიზაციას სტუდენტების პროექტის დასრულების მხარდაჭერისთვის?
- რა ღონის უნარები და ცოდნა სჭირდება სტუდენტებს ჩემს ორგანიზაციაში მუშაობისთვის?
- რომელი აკადემიური დისციპლინაა „ყველაზე შესაბამისი“ ჩვენი ორგანიზაციის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად?
- როგორ გააუმჯობესებს თანამშრომლობა აკადემიურ სწავლას მომსახურების გამოცდილების მეშვეობით?
- როგორ შეაფასებს ჩემი ორგანიზაცია სამსახურებრივი სწავლების პარტნიორობას? რომელ კრიტერიუმებს გამოვიყენებთ?

როგორია ორგანიზაციის/თემის წარმომადგენლის როლი და პასუხისმგებლობა?



- სტუდენტებთან შეხვედრა შეთანხმებულ დროს თქვენს ორგანიზაციაში სპეციალურად განკუთვნილ ადგილას, რათა უზრუნველყოს:
 - თქვენი ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა.
 - ორიენტირება უსაფრთხოებაზე, რომელიც ხაზს უსვამს უსაფრთხოების ნებისმიერ რეგლამენტირებულ მოთხოვნას, ასევე უსაფრთხოების ნებისმიერ ელემენტს კონკრეტული ადგილისთვის, რომლის შესახებაც სტუდენტებმა უნდა იცოდნენ.
 - ნებისმიერი დამატებითი მომზადება ან საორიენტაციო მოთხოვნა, რომელიც მისცემს მონაწილეებს შესაძლებლობას, ეფექტურად შეასრულონ დავალებული პროექტები ან ამოცანები.
- სტუდენტებთან გამოცდილების მოლოდინების განხილვა.
- იმ მონაწილეებისთვის საჭირო რეკომენდაციების მიცემა და რესურსების უზრუნველყოფა, რომლებიც თქვენს ორგანიზაციასთან თანამშრომლობენ, რათა შეასრულონ დანიშნული პროექტები და დავალებები (მაგალითად, სტუდენტების კითხვებზე პასუხის გაცემა, პრობლემებთან გამკლავებაში დახმარება, უკუკავშირისა და შეთავაზებების უზრუნველყოფა).
- ნებისმიერი პრობლემის განხილვა სტუდენტების საქმიანობასთან, უსაფრთხოებასთან, პროექტის პროგრესთან, ასევე ნებისმიერ შემთხვევასთან (სამუშაო ადგილზე, სამედიცინო დახმარება) დაკავშირებით, რომელიც ხდება უნივერსიტეტში ახალი პირის დანიშვნისას.
- სტუდენტებსა და მასწავლებლებთან მუდმივი კავშირის შენარჩუნება. რეგულარულ კავშირს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.
- კურსის შესწავლის შედეგების კურსში ყოფნა და სტუდენტ(ებ)თან განხილვის დროის ნახვა იმის თაობაზე, თუ როგორ არის დაკავშირებული ის სამუშაო, რომელსაც ისინი ასრულებენ თქვენი ორგანიზაციისთვის, სწავლის შედეგებთან.
- იმის აღიარება, რომ სტუდენტმა დაუთმო დრო თქვენს ორგანიზაციას. გთხოვთ, ამის გათვალისწინებით სტუდენტებთან ერთად განიხილოთ მოლოდინები, და შესაბამისად შეასწოროთ განთავსების საათები და პროექტის მოცულობა.
- შესრულებული საათების შესახებ დოკუმენტაციის დადასტურება.
- პროგრამის შესახებ უკუკავშირის მიწოდება.

საზოგადოების პარტნიორობა გამოკითხვის ნიმუში[1]

ორგანიზაციის სახელი: _____ თარიღი: _____
ორგანიზაციის ვებ-გვერდი: _____
პირი, რომელიც ავსებს ამ ფორმას: _____ ნოდება: _____
ტელეფონი: _____ ელ.ფოსტა: _____
მისამართი: _____
ორგანიზაციის მისია: _____

შეამოწმეთ მოხალისეობის შესაძლებლობების სახეობები, რომლებიც ხელმისაწვდომია თქვენს ორგანიზაციაში:

☐ მხოლოდ ერთჯერადად ☐ მხოლოდ მრავალჯერ ☐ ორივე

გთხოვთ, შეამოწმოთ მოსახლეობის ტიპები, რომლებსაც ემსახურება თქვენი სააგენტო:

- ☐ ახალგაზრდობა
- ☐ ყ ასაკოვანი მოქალაქეები
- ☐ შშმ პირები
- ☐ ცხოველები/ შინაური ცხოველები
- ☐ ოჯახები
- ☐ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი
- ☐ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულნი
- ☐ უსახლკაროები
- ☐ დაბალი შემოსავლის მქონეები
- ☐ ჯანმრთელობის განსაკუთრებული მდგომარეობა: _____
- ☐ სხვა - _____

ზედამხედველობა: ზედამხედველი უნდა იყოს ხელმისაწვდომი სტუდენტებთან (ერთობლივად) პირისპირი ურთიერთობისთვის კვირაში არანაკლებ 1 საათისა, რათა გაუწიოს გუნდებს, და ზოგჯერ გუნდის ცალკეულ წევრებს ხელმძღვანელობა და აღმოუჩინოს მხარდაჭერა, რომელიც მათ სამუშაოს ეხება. მზად არის თუ არა ზემოთ აღნიშნული ზედამხედველი აღმოუჩინოს მათ ამ დონის მხარდაჭერა?

- ☐ დიახ
- ☐ არა გთხოვთ, განმარტოთ _____

ზედამხედველის შესახებ ინფორმაცია :

სახელი: _____
ნოდება: _____
გამოცდილების წლები: _____
ზედამხედველობის წარსული გამოცდილება: _____
ელ.ფოსტა: _____ ტელეფონის ნომერი: _____

საუკეთესო საშუალება სტუდენტებისთვის ზედამხედველთან დასაკავშირებლად:

- ☐ ელ.ფოსტა ☐ ტელეფონი ☐ ორივე

პროექტის კრიტერიუმები: გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ორგანიზაციის უნარი, წარადგინოს პროექტი, რომელიც შემდეგ კრიტერიუმებს შეესაბამება:

პროექტის კრიტერიუმები	4 - ძალიან ვეთანხმები	3- ვეთანხმები	2 - არ ვეთანხმები	1 - ძალიან არ ვეთანხმები
ზედამხედველობა: არსებობს პირი, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ ზედამხედველობასა და ხელმძღვანელობას კვირაში 1 საათის განმავლობაში.	4	3	2	1
პროექტის ვადა: სააგენტოს აქვს პროექტი, რომელიც შეიძლება დასრულდეს ერთი სემესტრის ვადაში.	4	3	2	1
ხელშესახები და კონკრეტული: სააგენტოს აქვს პროექტი, რომლის შედეგადაც მიიღება ისეთი ამოცნობადი და კონკრეტული პროდუქტები, როგორიცაა შექმნილი სახელმძღვანელო, ან გამოფენა, ან ჩატარებული ოჯახური/საზოგადოებრივი ღონისძიება.	4	3	2	1
მხარდაჭერა: სააგენტოს აქვს პროექტის მხარდაჭერისთვის აუცილებელი ფულადი სახსრები, პერსონალი და რესურსები.	4	3	2	1
აქტუალურობა: სააგენტოს აქვს პროექტი, რომელიც აქტუალურია დისციპლინისა და კლასისთვის.	4	3	2	1
შესაბამისობა: სააგენტოს აქვს პროექტი, რომელიც შეესაბამება კოლეჯის იმ სტუდენტების ცოდნას, უნარებს, პროფესიონალიზმსა და ზრდასრულობას, რომლებიც სამსახურებრივი სწავლების პირველ გამოცდილებას იძენენ.	4	3	2	1
სწავლების ფასეულობა: სააგენტოს აქვს პროექტი, რომელიც აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას, განავითარონ თავიანთი პროფესიონალური უნარები და ცოდნა, სააგენტოსთვის სამსახურის განევის განმავლობაში.	4	3	2	1
სტუდენტთა დროითი ვალდებულება: სააგენტოს აქვს პროექტი, რომელიც მისცემს სტუდენტებს საშუალებას, მიიღონ როგორც მინიმუმ 15 საათიანი გამოცდილება სემესტრის განმავლობაში (50% ადგილზე, 50% პროექტებისთვის, რომლებიც აქტუალურია ამ პროექტების განვითარებასა და დასრულებასთან დაკავშირებული კვლევისთვის/ დავალებებისთვის).	4	3	2	1

არსებობს თუ არა განსაკუთრებული მოთხოვნები სტუდენტებისთვის?

☐ დიახ გთხოვთ, აღწერეთ

☐ არა

კითხვები: გთხოვთ, გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული ადგილი ნებისმიერი კითხვისა თუ პრობლემის ჩამოთვლისთვის, რომლებიც გაქვთ.

სერვისით სწავლის კურსის დაგეგმვა საზოგადოების/ თემის წარმომადგენელთან (პარტნიორთან) ერთად

- 1) რა მოლოდინები გაქვთ სერვისის სწავლით დასრულებასთან დაკავშირებით?
- 2) რომელ აქტივობებში გეგმავთ/შეძლებდით სტუდენტების ჩართვას სერვისით სწავლის ფარგლებში?
- 3) რა გაღელვებთ სერვისით სწავლის შესრულებასთან დაკავშირებით?
- 4) რა სარგებელს ელოდებით თქვენი ორგანიზაციისთვის? რამდენად შეესაბამება სერვისის სწავლა თქვენი ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებთან?
- 5) რა სახის მომზადება დასჭირდება თქვენს ორგანიზაციას, რათა მიიღოს მონაწილეობა სერვისით სწავლის თანამშრომლობაში ფაკულტეტსა და სტუდენტებთან ერთად?
- 6) რამდენ სტუდენტს გაუმკლავდებით ერთდროულად?
- 7) რომელი თანამშრომლები უზრუნველყოფენ ზედამხედველობასა და კოორდინაციას სტუდენტების მუშაობას?
- 8) რა რესურსები დასჭირდება თქვენს ორგანიზაციას, რათა დაეხმაროს სტუდენტების პროექტის დასრულებაში?
- 9) რა დონის უნარები და ცოდნა სჭირდებათ სტუდენტებს ჩემს ორგანიზაციაში სამუშაოდ?

კითხვები სერვისით სწავლის პროექტებში ჩართული თემის/საზოგადოების წარმომადგენლებისთვის

1) გეონდათ თუ არა **წარსული გამოცდილება სერვისით სწავლასთან** სამსახურებრივი სწავლების ამ პროექტის დაწყებამდე?

- ა) დიახ
- ბ) არა

2) გთხოვთ, შეაფასოთ, თუ რამდენად მკაფიოდ იყო განხილული/ჩამოყალიბებული თქვენი ორგანიზაციის **მოლოდინები** მასწავლებლებსა და სტუდენტებთან სერვისით სწავლის პროექტის დაწყებისას?

- ა) საერთოდ არ იყო მკაფიო
- ბ) საკმაოდ მკაფიოდ
- გ) ძალიან მკაფიოდ

3) გთხოვთ, შეაფასოთ, იყო თუ არა **საზოგადოების საჭიროებები/პრობლემები** შესაბამისად/წარმატებით გადაჭრილი სერვისით სწავლის მიერ?

- ა) საერთოდ არა
- ბ) საკმაოდ წარმატებით
- გ) (სრულიად) წარმატებით

4) გთხოვთ, შეაფასოთ **სერვისით სწავლის ვადის/ხანგრძლივობის შესაბამისობა**

- ა) ძალიან ხანმოკლე იყო
- ბ) ძალიან ხანგრძლივი იყო
- გ) ნორმალური იყო

5) გთხოვთ, შეაფასოთ **თქვენი ორგანიზაციის მიერ სერვისით სწავლის პროექტისთვის/სტუდენტებისთვის აღმოჩენილი მხარდაჭერა** (ან.. გთხოვთ, იფიქროთ თქვენ მიერ აღმოჩენილ მხარდაჭერაზე სერვისით სწავლის პროექტისთვის/სტუდენტებისთვის..)

- ა) ძალიან ცოტა
- ბ) ძალიან ბევრი
- გ) ნორმალური

გთხოვთ, განმარტოთ თქვენი არჩევანი:

6) გთხოვთ, შეაფასოთ **მასწავლებლების მიერ სერვისით სწავლის პროექტის კონტექსტში თქვენი ორგანიზაციისთვის აღმოჩენილი მხარდაჭერა** (ან... გთხოვთ, იფიქროთ მასწავლებლების მიერ თქვენი ორგანიზაციისთვის აღმოჩენილ მხარდაჭერაზე...)

- ა) ძალიან ცოტა
- ბ) ძალიან ბევრი
- გ) ნორმალური

გთხოვთ, განმარტოთ...

კითხვები სერვისით სწავლის პროექტებში ჩართული თემის/საზოგადოების წარმომადგენლებისთვის

7) სერვისით სწავლის პროექტებზე მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით, დაინტერესებულია თუ არა **თქვენი ორგანიზაცია სერვისით სწავლის (ანალოგიურ) პროექტებში მონაწილეობის გაგრძელებით**, რომლებიც დაკავშირებულია თქვენი მომსახურების სფეროსთან?

	კი	არა	არ ვიცი
მონაწილეობა სტუდენტებთან ერთად			
მონაწილეობა მასწავლებლებთან ერთად			
მონაწილეობა ფაკულტეტთან/ უნივერსიტეტთან ერთად			

თუ კი, შეგიძლიათ ჩამოთვალოთ რამდენიმე იდეა/მიმართულება თანამშრომლობისთვის? (მაგ., განათლება, ტრენინგები, დასაქმება, კვლევითი პროექტები, სტუდენტთა მოხალისეობა და ა.შ.).

8) იყო თუ არა **სერვისით სწავლის პროექტი მარტივად შესასრულებელი** თქვენს ორგანიზაციაში არსებული ხელმისაწვდომი რესურსების მხრივ?

	კი	არა	არ ვიცი
ადამიანური რესურსები (თანამშრომლები/ მოხალისეები)			
თქვენი ორგანიზაციის მენტორული პოტენციალი (თანამშრომლები/მოხალისეები)			
ინფრასტრუქტურა			
დროის დაგეგმვა			
გამოყოფილი ბიუჯეტი			

9) გთხოვთ, ჩამოთვალოთ სერვისით სწავლის პროექტთან თანამშრომლობის **სამი დადებითი ასპექტი/პუნქტი**

- 1 -
- 2 -
- 3 -

10) გთხოვთ, ჩამოთვალოთ **სამი გამოწვევა/დაბრკოლება**, რომელსაც წააწყდით და რომელთა გადაჭრასაც ისურვებდით სერვისით სწავლის მომავალ პროექტებში.

- 1 -
- 2 -
- 3 -

11) რა **დამატებითი მხარდაჭერა შეიძლება სჭირდებოდეს თქვენს** ორგანიზაციას, რომ განაგრძოს თანამშრომლობა სერვისით სწავლის პროექტებთან? (მაგ., სასწავლო ტრენინგები სერვისის სწავლასთან დაკავშირებით, დამატებითი ფინანსური რესურსები, პარტნიორთა მოძიების მომსახურება საუნივერსიტეტო დონეზე, საორგანიზაციო პოლიტიკის შექმნის მხარდაჭერა და ა.შ.)

12) გაუწევდით თუ არა რეკომენდაციას **სერვისით სწავლის პროექტებს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან?**

- ა) დიახ გთხოვთ, განმარტოთ, რატომ
- ბ) არაგთხოვთ, განმარტოთ, რატომ

მოფიქრების სავარჯიშოს ნიმუში საზოგადოების/ თემის წარმომადგენლისთვის/პარტნიორისთვის

თითოეული კითხვისთვის, ჩამოწერეთ ის ემოცია / გრძნობა, რომელსაც თქვენში პასუხი იწვევს (შესაძლოა, ერთზე მეტი იყოს). განიხილეთ კითხვებზე გაცემული თქვენივე პასუხები.

ალტერნატიული ვარიანტი: დაწერეთ ერთი სიტყვა ან იდეა თითოეული კითხვისთვის, ან დახატეთ სურათი, რომელიც აღწერს თქვენს პასუხს კითხვაზე, და გამოიყენეთ ისინი კითხვებზე გაცემული თქვენივე პასუხების სხვებთან ერთად განხილვისთვის.

სანიმუშო კითხვები:

როგორ აფასებთ თანამშრომლობასა და კომუნიკაციას აკადემიასთან?

როგორ აფასებთ დასრულებული პროექტის წვლილს ორგანიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში?

რა გავლენა იქონია სტუდენტების მიერ გაწეულმა სამსახურმა/სერვისმა ორგანიზაციაზე?

რა გავლენა იქონია სტუდენტების მიერ გაწეულმა სამსახურმა/სერვისმა კლიენტებზე/ ბენეფიციარებზე?

რა გააცნობიერეს სტუდენტებმა პროექტის განმავლობაში?

როგორ აფასებთ სტუდენტების მიერ შესრულებული პროექტის ინოვაციურობას?

როგორ ხედავთ ორგანიზაციის ფუნქციონირებას სტუდენტების მიერ პროექტის დასრულების შემდეგ?

რა რეკომენდაციებს მისცემდით სტუდენტებს სერვისით სწავლის პროექტების დასრულებასთან დაკავშირებით?

Albanesi, C., Culcasi, I. & Zunszain, P. (eds). (2020). Practical guide on e-Service-Learning in response to COVID-19. Brusel: European Association on service learning in higher educaion.

Brozmanová Gregorová, A. (Eds). (2022). Service-learning in Youthwork. Handbook for youth workers. Banská Bystrica: Platform of Volunteer Centers and Organizations, 2021.

Council on Social Work Education (2015). Educational Policy and Accreditation Standards (EPAS) for Baccalaureate and Master's Social Work Programs. Retrieved from: <http://www.socialserviceworkforce.org/system/files/resource/files/Accreditation%20Standards.pdf>

Jacoby, B. (2015). Service-Learning Essentials. Questions, Answers, and Lessons Learned. San Fran-cisco: Jossey-Bass.

Regina, C. & Ferrara, C. (2017). Service-Learning in Central and Eastern Europe - Handbook for Engaged Teachers and Students. Ciudad Autónoma de Buenos Aires: CLAYSS. Retrieved from: http://www.clayss.org.ar/04_publicaciones/SL-EE_nov17.pdf.